



საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

კონკურენციისა და მომხმარებლის
დაცვის სააგენტოს მიერ
კონფიდენციალური ინფორმაციის
დამუშავებისა და დაცვის

გზამკვლევი

თბილისი
2026

სარჩევი

შესავალი	3
1. რა არის საიდუმლო ინფორმაცია	7
1.1 კომერციული საიდუმლოება და ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის პროცედურა	10
2. საიდუმლო ინფორმაციის სხვა სახეები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა სააგენტოში მიმდინარე სამართლებრივ წარმოებებში	15
2.1. პერსონალური მონაცემები	15
2.2. საგადასახადო საიდუმლოება	17
2.3. პროფესიული საიდუმლოება	19
2.4. სახელმწიფო საიდუმლოება	20
2.5. საბანკო საიდუმლოება	20
3. საიდუმლო ინფორმაციის და მხარეთა ინტერესების დაცვის მეთოდი სააგენტოში განხორციელებულ სამართლებრივი წარმოებების პროცესში	21



შესავალი

საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად, მომხმარებლის უფლებების დასაცავად და დემპინგური იმპორტისგან ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვის პოლიტიკის აღსრულების მიზნით შექმნილია და ფუნქციონირებს დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), რომლის ძირითადი ამოცანაა საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა. მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. ასევე, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა) დემპინგური იმპორტისგან ადგილობრივი ინდუსტრიის დაცვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენა და აღკვეთა; კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა და შეთანხმებული ქმედების გამოვლენა და აღკვეთა; სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვის გამოვლენა და აღკვეთა; კონცენტრაციების შეფასება; სახელმწიფო დახმარების გაცემის კონტროლი; ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა; შესაბამისი ბაზრის მონიტორინგი და მარეგულირებელი ქმედების კონკურენციული ეფექტის შეფასება. ასევე, მომხმარებლის უფლებების დაცვა, რომლის ძირითადი მიმართულებებია: მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების ძირითადი სტანდარტების დარღვევის, დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებასთან, კანონისმიერ და კომერციულ გარანტიასთან, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან და უსამართლო კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული წესების დარღვევის გამოვლენა და მასზე რეაგირება. ასევე, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფით ბაზრის სათანადოდ ფუნქციონირების ხელშეწყობა, ელექტრონული კომერციის პროცესში მომხმარებელთა უფლებების დაცვა, შუალედური მომსახურების მიმწოდებელთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა და ზოგადი მონიტორინგის ვალდებულების დაწესებისგან მათი დაცვა.

სააგენტოს კიდევ ერთ ფუნქციას წარმოადგენს დემპინგური იმპორტის შემთხვევების მოკვლევა და ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ზიანის შესწავლა. ამ მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სააგენტო საქართველოს მთავრობას წარუდგენს შესაბამის დასკვნასა და რეკომენდაციას ანტიდემპინგური ღონისძიებების (ტარიფების) შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობების და ზოგადად, საქმიანობის ჯეროვნად განსახორციელებლად, არსებითი მნიშვნელობა აქვს სააგენტოს მიერ შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებასა და ანალიზს. ამ საჭიროების გათვალისწინებით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონი სააგენტოს ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებებს:



- საქმესთან დაკავშირებით შესაბამის ეკონომიკურ აგენტს, სხვა დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ინფორმაცია, მათ შორის, მისი სამართლებრივი ორგანიზაციული და სამეურნეო ურთიერთობების შესახებ, გაეცნოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაბამის დოკუმენტაციას;
- საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში, მოკვლევის მიზნით, სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე;
- მოკვლევის მიზნით, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე, ადგილზე შეამოწმოს საქმეში ჩართული ეკონომიკური აგენტი. აღსანიშნავია, რომ ადგილზე შემოწმება ტარდება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, ეკონომიკური აგენტ(ებ)ისგან ინფორმაციის/მტკიცებულებების მიღების მიზნით;
- საქმის მოკვლევის პროცესში მოიწვიოს დაინტერესებული მხარეები მათგან ახსნა-განმარტების მისაღებად;
- საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, ეკონომიკურ აგენტს დაუწესოს ადმინისტრაციული ჯარიმა;
- სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან, უფლებამოსილებათაგანსაზო რციელებლად, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დასვას მისი თანამდებობის პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე საგადასახადო ორგანოსაგან გამოითხოვოს დამიიღოს იდენტიფიცირებული ინფორმაცია ცალკეული გადასახადის გადამხდელთა თაობაზე;
- საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვოს სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განსაზო რციელებლად საჭირო ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია;)
- ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობის ან არასრულად მიწოდების შემთხვევაში მოვაჭრეს დააკისროს ჯარიმა;
- ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუღებლობის ან არასრულად მიღების შემთხვევაში უფლებამოსილია სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების შესახებ.



„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი

მუხლი 20. ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა

1. სააგენტო ვალდებულია:
 - a. დაიცვას ეკონომიკური აგენტის თაობაზე ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც შეიცავს კომერციულ ან/და საგადასახადო საიდუმლოებას;
 - b. დაიცვას იმ პირის პირადი მონაცემების კონფიდენციალურობა, რომელიც არის ინფორმაციის მიმწოდებელი და სააგენტოს მიმართავს მისი პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის თხოვნით;
 - c. უზრუნველყოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა და გაუზრცელებლობა.
2. დაუშვებელია კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემა და გავრცელება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისის შემთხვევებისა.
3. დაუშვებელია სააგენტოში დასაქმებულთა მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება და გავრცელება, მათ შორის, პირადი, აკადემიური, სამეცნიერო და სხვა საქმიანობის განსახორციელებლად.
4. სააგენტოში დასაქმებულთა მიერ ამ მუხლის დებულებათა დარღვევა გამოიწვევს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.
5. განზოგადებული ინფორმაცია შესაბამისი ბაზრის შესახებ, ასევე მონაცემები ეკონომიკური აგენტების რაოდენობის, მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების თაობაზე არ შეიძლება კონფიდენციალური იყოს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სააგენტო უფლებამოსილია, საქმის მოკვლევის პროცესში, ეკონომიკურ აგენტს ან მოვაჭრეს სხვა ინფორმაციასთან ერთად მოსთხოვოს კონფიდენციალური ინფორმაციის და მათ შორის კომერციული საიდუმლოების წარდგენა, ხოლო პირი ვალდებულია, სააგენტოს წარუდგინოს ეს ინფორმაცია.

უნდა აღინიშნოს რომ, ანტიდემპინგური კანონმდებლობის შესაბამისადაც, დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი ინფორმაცია კონფიდენციალურ ინფორმაციად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის წარმდგენი პირი სააგენტოს წარუდგენს იმის დასაბუთებას, რომ ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება კონკურენციის პირობებში უპირატესობას მიანიჭებს მესამე პირს ან ამას ექნება უარყოფითი შედეგები ინფორმაციის წარმდგენი პირისთვის ან იმ პირისთვის, რომლისგანაც დაინტერესებულმა პირმა ასეთი ინფორმაცია მიიღო. კონფიდენციალური ინფორმაცია მისი წარმდგენი დაინტერესებული პირის ნებართვის გარეშე არ უნდა გახმაურდეს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, გამონაკლისის შემთხვევებისა.



ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების გათვალისწინებით, შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სააგენტოსთვის ცნობილი ხდება ეკონომიკური აგენტის/მოვაჭრის კომერციულად სენსიტიური ინფორმაცია. გარდა ამისა, ხსენებულ პროცესში სააგენტოში თავს იყრის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, საბანკო საიდუმლოებას, საგადასახადო საიდუმლოებას და ა.შ.

ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით და პროცედურული სამართლიანობის წესების უზრუნველსაყოფად, სააგენტო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას. ხოლო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში, ზოგადად, შესაძლოა დასჯადი იყოს ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ მეორისათვის კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გამხელა, შესაბამისი წარმოებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ტიპის საიდუმლო ინფორმაციის დაცვას.

ამასთან, გასათვალისწინებელია, ის რომ პერსონალური, საგადასახადო და საბანკო საიდუმლოების დაცვა „ავტომატურ რეჟიმში“ ხდება, ხოლო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად აღიარებას სჭირდება ადმინისტრაციული ორგანოს, ამ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ასეთად ცნობა, რისთვისაც აუცილებელია, პირველ რიგში, ინფორმაციის მფლობელის განცხადება/ნება და სააგენტოს შეფასება/ანალიზი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია ითვლება საჯარო ინფორმაციად და ღიაა.

წინამდებარე გზამკვლევი დოკუმენტის მიზანია, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოში მიმდინარე სამართლებრივ წარმოებაში კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც არ არის ღია და ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის, ეროვნული კანონმდებლობა იყენებს ტერმინებს „საიდუმლო“ და „კონფიდენციალური“. შესაბამისად, წინამდებარე გზამკვლევ დოკუმენტში საიდუმლო და კონფიდენციალური ინფორმაცია სინონიმებად იქნება გამოყენებული.



1. რა არის საიდუმლო ინფორმაცია

ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია გამორჩეულ ადგილს ანიჭებს და დიდ ყურადღებას უთმობს. საზოგადოებაში, სადაც აზრის თავისუფლება აღიარებულია და დაცულია კონსტიტუციით, ასევე, დაცულია ინფორმაციის თავისუფლებაც. აზრის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, რომ მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება კი უზრუნველყოფს, რომ აზრი მივიდეს ავტორიდან ადრესატამდე.¹

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით² დაცულია ყოველი ადამიანის უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ხოლო, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით³ უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება. თუმცა, ინფორმაციის თავისუფლება არ არის აბსოლუტურად დაცული სიკეთე⁴. განსაკუთრებით ეს შეეხება იმ ინფორმაციის მიღების უფლებას, რომელიც თავმოყრილია სახელმწიფო დაწესებულებებში⁵.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წელს, საქმესთან - საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ- დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში (№2/3/406,408) იმსჯელა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით უზრუნველყოფილ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებასა და ამ უფლების შეზღუდვის შემთხვევებზე⁶.

„საიდუმლოება გულისხმობს ერთგვარ მონოპოლიას ინფორმაციაზე, ინფორმაციის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას ინფორმაციაზე, მეორე მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა საიდუმლო ინფორმაციის დასაცავად, მათ ეკრძალებათ ამ ინფორმაციის გადაცემა, გამოქვეყნება, ნებისმიერი საშუალებებით გავრცელება. ამასთანავე, მესამე პირებს ევალებათ ამ ინფორმაციის მოპოვებისგან თავის შეკავება“ - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის №ბს-33-32(კ-16) განჩინება.

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის 2/3/406,408 გადაწყვეტილება, II თავი, პარაგრაფი 10, გადაწყვეტილების ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=390>

2 საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი იცავს აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებებს. ხსენებული მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

3 საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით დაცულია სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება. მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება, კანონით დადგენილი წესით გაცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებული სახელმწიფო საიდუმლოებად. ხოლო, მე-3 პუნქტის თანახმად, კი, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად.

4 საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მეხუთე პუნქტის თანახმად, ამ მუხლით გარანტირებულ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, იხილეთ მე-3 სქოლიო.

5 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება, II თავი, პარაგრაფი 10.

6 აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში საუბარია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე და 41-ე მუხლებზე. ეს მუხლები შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-17 და მე-18 მუხლებს. ამდენად, წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულია საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მუხლების ნუმერაცია.



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლისაგან განსხვავებით, რომლითაც გარანტირებულია ინფორმაციის „თავისუფალი გავრცელება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, ინფორმაციის მატარებლებიდან, რომლებიც გამოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის“ (გადაწყვეტილება №2/2-398 - II,14), საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი არ აწესრიგებს ინფორმაციის მოპოვებას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. სახელმწიფო დაწესებულებები არ წარმოადგენენ ამგვარ წყაროებს. სახელმწიფო დაწესებულებებში და ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურსამართლებრივი რეჟიმი, განსხვავდება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყაროებიდან ინფორმაციის მიღების სამართლებრივი რეჟიმისაგან⁷.

სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ყველა სახის ინფორმაცია დაცულია ოფიციალურ წყაროებში, მაგრამ შეიძლება ამ ინფორმაციის დაყოფა რამოდენიმე ჯგუფად. ამ ჯგუფებს შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია მათში შემავალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი:

- პირველ ჯგუფში შედის ინფორმაცია, რომელიც თავად ინფორმაციის მიღების მსურველ პირს შეეხება. ეს ინფორმაცია, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაუბრკოლებლად, კანონით დადგენილი წესით უნდა მიეწოდოს პირს.
- მეორე ჯგუფს წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ინფორმაციის მიღების მსურველს არ შეეხება, მაგრამ მათი მიღებაც, ასევე, შესაძლებელია კანონით დადგენილი წესის დაცვით.
- მესამე ჯგუფში შედის ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ყველაზე დახურული ინფორმაცია და მისი მიღება ნებისმიერი მსურველი ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის შეუძლებელია. თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი არ გულისხმობს ინფორმაციის ავტომატურად გასაიდუმლოებას. რამდენად წარმოადგენს ესა თუ ის ინფორმაცია სახელმწიფო ან კომერციულ და აქედან გამომდინარე, პროფესიულ საიდუმლოებას, ეს წინასწარი შეფასების საკითხია. გასაიდუმლოებისათვის საჭიროა პროცედურების გავლა, რაც დადგენილია საქართველოს კანონით „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.
- მეოთხე ჯგუფი გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით. ეს არის ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც შეეხება ისეთ კერძო საკითხებს, როგორიცაა ჯანმრთელობა, ფინანსები და ა.შ. ეს ინფორმაცია ავტომატურად გასაიდუმლოებულია და კონსტიტუციით დადგენილია მისი განსაიდუმლოების წესი და კონკრეტული შემთხვევები. როგორც ვხედავთ, ინფორმაციის ზემოთმოყვანილი ჯგუფები და მათი კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეჟიმები განსხვავდება ერთმანეთისაგან⁸.

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება, II თავი, პარაგრაფი 11.

⁸ იქვე, პარაგრაფი 12.



როგორც უკვე აღინიშნა, ინფორმაციის მიღების უფლება აბსოლუტური უფლება არაა და რიც შემთხვევებში, შეიძლება შეიზღუდოს⁹, მაგალითად, სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით. როგორც, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში დაადგინა, საიდუმლოების დაცვაში კანონმდებელი იყენებს ღირებულებათა შეფასების მეთოდს, პრიორიტეტთა გარკვეულ სისტემას, პროპორციულობას, მოქმედებს უკიდურესი აუცილებლობის პრინციპი: ნაკლები სოციალური ღირებულება უფრო მნიშვნელოვანი ღირებულების დაცვას ეწირება (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99.2 მუხლი)¹⁰.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და დადგენილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზოგადი პრინციპი, ისევე როგორც მისი შეზღუდვის შემთხვევები, დაკონკრეტებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, **საიდუმლო ინფორმაციად** ითვლება საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას. ამ განმარტებიდან გამომდინარე, საიდუმლო ინფორმაციის სახეებს მიეკუთვნება: პერსონალური მონაცემები, კომერციული საიდუმლოება, პროფესიული საიდუმლოება და სახელმწიფო საიდუმლოება.

საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს საიდუმლო ინფორმაციის კიდევ ერთ სახეს, საგადასახადო საიდუმლოებას. ხოლო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, არეგულირებს საწარმოო-კომერციულ საიდუმლოსთან (ნოუ-ჰაუ) დაკავშირებულ წესებს.

როგორც უკვე აღინიშნა, საიდუმლო ინფორმაციის ზემოხსენებული სახეების დაცვას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი სააგენტოს და სააგენტოში დასაქმებულ პირებს უდგენს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებას. აღსანიშნავია, რომ სააგენტო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, პერსონალური ინფორმაციის იდენტიფიცირებისას - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და ა.შ.

წინამდებარე გზამკვლევი დოკუმენტის შემდეგ თავებში საუბარი იქნება კონფიდენციალური ინფორმაციის თითოეულ სახეზე - კომერციული საიდუმლოება, პერსონალური მონაცემები, პროფესიული საიდუმლოება, სახელმწიფო საიდუმლოება და საგადასახადო საიდუმლოება. თუმცა, კონკურენციის სამართალში კომერციული საიდუმლოების დაცვის მნიშვნელობის გათვალისწინებით, გზამკვლევი დოკუმენტის ძირითადი ნაწილი კომერციულ საიდუმლოებას და ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად აღიარების წესს დაეთმობა.

⁹ აღნიშნული გამომდინარეობს როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და მე-18 მუხლებიდან, ისე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, კერძოდ, 2006 წლის 6 ივნისის №2/2/359 გადაწყვეტილება საქმეზე “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” (გადაწყვეტილების ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=322>) და 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება (გადაწყვეტილების ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=390>).

¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის №ბს-33-32(კ-16) განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე. 2019, №11, გვ. 29.



1.1. კომერციული საიდუმლოება და ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის პროცედურა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად აღიარებასთან დაკავშირებით იმსჯელა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ აღძრულ საქმეში¹¹, სადაც განმარტა, რომ კომერციული საიდუმლოება არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც კომერციული ღირებულება აქვს ან ამ ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს მოგების მიღება საწარმოს ან ფიზიკური პირის მიერ. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს გეგმის, პროცესის, ფორმულის სახით და ეხებოდეს საქონლის წარმოებას, გადამამუშავებას, მომზადებას ან მომსახურების გაწევას. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება

“კომერციული საიდუმლოების შემთხვევაში, მთავარი ამოცანაა კომერციული ინტერესების დაცვა. პირი, რომელსაც შეეხება ინფორმაცია, პირადად განსაზღვრავს კომერციული თვალსაზრისით რამდენად ღირებულია ეს ინფორმაცია მისთვის, რათა მოახდინოს გასაიდუმლოების ინიცირება. ამ დროს სავსებით შესაძლებელია, რომ კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციით არ ხდებოდეს პირის იდენტიფიცირება, მაგრამ მისმა გამჟღავნებამ ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას” - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება.

წარმოადგენდეს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს. კომერციულად მიიჩნევა ასევე ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე. საიდუმლოების მფლობელის დაცვა ხდება მის მიერ არა მხოლოდ რაიმე განსაკუთრებული ინფორმაციის (მაგ. ბაზარზე დიდი მოთხოვნილების მქონე საქონლის შემადგენლობა) მფლობელობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არამედ ნებისმიერი მესამე პირების არამართლზომიერი ჩარევისაგან დაცვისათვის¹². კომერციული საიდუმლოების დაცვა არის საიდუმლოების მფლობელის ნორმალური საქმიანობის, ფუნქციონირების დაცვა და არა ავტორობის, გამომგონებლობის და ა.შ. დაცვა¹³.

11 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის №ბს-33-32(კ-16) განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე. 2019, N11, გვ. 29.

12 იქვე, გვ. 16

13 იქვე



კომერციულ საიდუმლოებას შეიძლება შეადგენდეს როგორც ტექნიკური (ნახაზი, მოდელი, შტამპი), ასევე საქმიანი (მიწოდების და რეალიზაციის არხები, კლიენტების სია, ხელშეკრულებები) ხასიათის მონაცემები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს პირისათვის. ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას, არის ნებისმიერი ხასიათის მონაცემი (საწარმოო, ტექნიკური, ეკონომიკური, ორგანიზაციული და სხვ.), მათ შორის, პროფესიონალური საქმიანობის განხორციელების საშუალების შესახებ მონაცემები, რომლებსაც აქვთ მოქმედი ან პოტენციური კომერციული ღირებულება მათი მესამე პირების მიერ არცოდნის გამო და რომელთა მიმართ მესამე პირებს არ აქვთ თავისუფალი წვდომის შესაძლებლობა კანონის საფუძველზე და ამ მონაცემების მიმართ ამოქმედებულია კომერციული საიდუმლოების რეჟიმი¹⁴.

სააგენტოს პრაქტიკის მიხედვით, კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეულ იქნა (არაამოქმედებული, საიდუმლოდ ჩამონათვალი):

- ეკონომიკური აგენტების სარეალიზაციო ფასები;
- დანახარჯები;
- მიმწოდებლების, დისტრიბუტორების, კლიენტების შესახებ მონაცემები;
- საქონლის მარაგები;
- ფასწარმოქმნის პოლიტიკა;
- ბიზნეს სტრატეგიები
- მოვაჭრის მიერ მომხმარებლებისთვის ანაზღაურებული თანხების შესახებ ინფორმაცია;

შენიშვნა: გასათვალისწინებელია, რომ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი შეფასების საგანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და ასევე, დამოკიდებულია ბაზრის სტრუქტურაზე.

კომერციული საიდუმლოება ქმნის კონფიდენციალური ინფორმაციის რეჟიმს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მის მფლობელს, შეინარჩუნოს ბაზარზე მდგომარეობა ან მიიღოს სხვა კომერციული მოგება, გაზარდოს შემოსავალი, თავი აარიდოს გაუთვალისწინებელ დანახარჯებს. ინფორმაციის კონფიდენციალობა გულისხმობს კანონის საფუძველზე დადგენილ სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, პირის (მფლობელის) თანხმობის გარეშე მესამე პირებისათვის გადაცემის აკრძალვას (კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა), პირის (ინფორმაციის მფლობელის) უფლებას, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის საკითხი¹⁵.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისათვის, ინფორმაციის მფლობელის ნების გამოხატვის გარდა, უნდა არსებობდეს საჯარო დაწესებულებაში შენახული ინფორმაციის დაცულობის მიმართ გამართლებული, პატივსაცემი ინტერესი, რაც განპირობებულია საიდუმლოების მფლობელის შესაძლო თვითნებობის შეზღუდვის საჭიროებით, ვინაიდან კომერციულ საიდუმლოებად ინფორმაციის გამოცხადება აკისრებს სხვებს საიდუმლოების რეჟიმის დაცვის ვალდებულებას, ანიჭებს ინფორმაციის მფლობელს განსაკუთრებულ უფლებებს, ხოლო სახელმწიფოს ამ უფლებების უზრუნველყოფის პოზიტიურ ვალდებულებებს¹⁶.

საიდუმლოების ფენომენი ორმაგი ბუნებით ხასიათდება. საიდუმლოება მისი მფლობელისათვის ინფორმაციაა, ხოლო მესამე პირებისათვის იგი არცოდნის, გაურკვევლობის სახით ავლენს თავს. ამდენად, უფლება საიდუმლობაზე მოქმედებს იმ დრომდე, სანამ დაცულია ინფორმაციაზე ფაქტობრივი მონოპოლია, აგრეთვე სახეზეა მისი დაცვის კანონით გათვალისწინებული პირობები. ინფორმაციის მისაწვდომობა უკარგავს მას კომერციული ღირებულების ხარისხს¹⁷.

14 იქვე, გვ. 17

15 იქვე, გვ. 17-18

16 იქვე, გვ. 14-15

17 იქვე, გვ. 19



საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია:

ა) რომელსაც გააჩნია კომერციული ღირებულება ან ამ ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია მოგების მიღება საწარმოს ან ფიზიკური პირის მიერ;

ბ) რომლის გამჟღავნება ზიანის მომტანია პირის კონკურენტუნარიანობისათვის;

გ) რომელზეც მის მფლობელს გააჩნია ფაქტობრივი მონოპოლია. ამასთანადასანიშნავია, რომ ინფორმაციის მონოპოლიის შენარჩუნება დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა თავად იმ პირზე, რომელმაც უნდა მიიღოს სათანადო ზომები ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვისა და ფაქტობრივი მონოპოლიის შენარჩუნებისათვის;

დ) კომერციულ საიდუმლოებად ინფორმაციის გამოცხადების მოთხოვნა უნდა ემყარებოდეს გამართლებულ ეკონომიკურ, პატივსაღებ ინტერესს და უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ საჯარო წესრიგს.

საინტერესოა ევროპის კავშირის პრაქტიკაც, თუ რა ტიპის ინფორმაცია მიიჩნევა კომერციულ საიდუმლოებად. ევროკომისიის მიერ მომზადებული დოკუმენტის თანახმად, ბიზნეს/კომერციული საიდუმლოება არის კონფიდენციალური ინფორმაცია კომპანიის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ, რომლის არათუ გასაჯაროებამ, არამედ ამ ინფორმაციის მფლობელის გარდა სხვა, მესამე პირისათვის გადაცემამაც კი, შესაძლებელია მნიშვნელოვნად დააზარალოს ინფორმაციის მფლობელის ინტერესები¹⁸.

ევროკავშირში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, იმისათვის, რომ ინფორმაცია აღიარებულ იქნეს საიდუმლოდ, ის უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ჩამოთვლილ პირობას: ა) ეს ინფორმაცია ცნობილი უნდა იყოს პირთა შეზღუდული წრისათვის/რაოდენობისათვის; ბ) ამ ინფორმაციის გამჟავნებამ უნდა ქმნიდეს მნიშვნელოვანი ზიანის საფრთხეს; გ) ინტერესი, რომელსაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ინფორმაციის გამჟავნებამ, უნდა იყოს ობიექტურად დაცვის ღირსი ინტერესი¹⁹.

კომერციულ საიდუმლოებად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს შემდეგი ტიპის ინფორმაცია: ეკონომიკური აგენტის/მოვაჭრის ნოუ-ჰაუსთან დაკავშირებული ტექნიკური ან/და ფინანსური ინფორმაცია; წარმოების საიდუმლოება და პროცესები, მიწოდების წყაროები, წარმოებული და გაყიდული პროდუქციის რაოდენობა, საბაზრო წილი, მომხმარებლებისა და დისტრიბუტორების სიები, მარკეტინგული გეგმები, ღირებულება/ხარჯები და ფასების სტრუქტურა და გაყიდვების სტრატეგიები²⁰.

18 Guidance on confidentiality claims during Commission antitrust procedures (version 2018), გვ. 2 დოკუმენტის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://competition-policy.ec.europa.eu/document/download/ea2cbf27-412c-4394-b872-dd4b4e3a840b_en

19 იქვე, გვ. 3

20 იქვე, გვ. 2



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარესთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც უკვე ცნობილია ამ ეკონომიკური აგენტის/მოვაჭრის გარეთ (ეკონომიკურ აგენტთა ჯგუფის შემთხვევაში, ამ ჯგუფის გარეთ) ან ასოციაციის გარეთ, როგორც წესი, არ ითვლება საიდუმლო ინფორმაციად. იმისათვის, რომ ინფორმაციამ დაკარგოს საიდუმლო ბუნება, საკმარისია იგი ხელმისაწვდომი გახდეს შესაბამის წრეებში ან ამ ინფორმაციის მიღება/დადგენა შესაძლებელი გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან²¹.

როგორც წესი, არაკონფიდენციალურად ითვლება ინფორმაცია, რომელმაც დაკარგა კომერციული მნიშვნელობა, მაგალითად დროის გასვლის გამო. ევროსასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, 5 წელი საკმარისია იმისათვის, რომ ინფორმაციამ დაკარგოს კომერციული/ბიზნეს ან სხვა საიდუმლოების კვალიფიკაცია. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, ინფორმაციის კონფიდენციალურად აღიარება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ეს ინფორმაცია, მიუხედავად მისი ისტორიული ბუნებისა, კვლავ შეიცავს ეკონომიკური აგენტის/მოვაჭრის კომერციული საქმიანობის არსებით ელემენტებს²².

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ პერსონალური ინფორმაციისა და საგადასახადო საიდუმლოებისგან განსხვავებით, როდესაც ამ ინფორმაციის დაცვა „ავტომატურ რეჟიმში“ ხდება, ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად აღიარებისათვის, სავალდებულოა ამ ინფორმაციის მფლობელის ნება ანუ განცხადება, რომ ეკონომიკური აგენტის/მოვაჭრის მიერ წარდგენილი ინფორმაცია, სააგენტოს მიერ კომერციულ საიდუმლოებად იქნეს მიჩნეული. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად გამოცხადებისათვის მფლობელს, ნების გამოხატვის გარდა, უნდა გააჩნდეს საჯარო დაწესებულებაში შენახული ინფორმაციის დაცულობის მიმართ გამართლებული, პატივსაღები ინტერესი...“. ამდენად, პირი, რომელსაც შეეხება ინფორმაცია, თავად განსაზღვრავს ინფორმაციის გასაიდუმლოების საკითხის ინიცირებას, შესაბამისად მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ინფორმაციის მისაწვდომობა საფრთხის შემცველია მისთვის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა, თუ სურს ამ ინფორმაციის საიდუმლოების უზრუნველყოფა. შესაბამისად, მასვე ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს, თუ რა საფრთხეების მატარებელია მისთვის ინფორმაციის ღიად დატოვება²³.

კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების დაცვის ეროვნული კანონმდებლობა არ ადგენს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის სპეციფიკურ წესს, შესაბამისად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სააგენტო ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 272 მუხლით, რომელიც ადგენს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის წესს. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის წესი კი ასეთია:



21 იქვე, გვ. 3

22 იქვე, გვ. 3-4

23 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის №ბს-33-32(კ-16) განჩინება, 15



- სააგენტოში ინფორმაციის წარდგენისას, პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა;
- სააგენტო ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით;
- თუ, სააგენტო არ მიიჩნევს ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას ამ ინფორმაციის ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს;
- გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სააგენტოს.

ხაზგასასმელია, რომ საქმის მოკვლევა სპეციფიური და ხანგრძლივი პროცესია, რა დროსაც ხდება ბაზრის სტრუქტურის დეტალური ანალიზი, კომპანიების წილებისა და ერთობლივი შემოსავლების დადგენა, მათი დანახარჯების იდენტიფიცირება და სხვა ისეთი სახის ინფორმაციის დამუშავება/მიღება, რომელიც, თავისი არსით, კომერციულად სენსიტიურია. ამასთან, კონკურენციის სამართალში რისკის მატარებელია ეკონომიკურ აგენტებს შორის ამგვარი სახის ინფორმაციის გაცვლა. **ამდენად, მნიშვნელოვანია, სააგენტოში ინფორმაციის წარდგენამდე მოახდინოთ იმ ინფორმაციის იდენტიფიცირება, რომლის გამჟღავნებაც ზიანს მოგაყენებთ თქვენ ან თქვენს კონკურენტუნარიანობას და მოითხოვოთ ამ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა.** თუმცა, ნება ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე არ არის საკმარისი, რადგან კომერციულ საიდუმლოებად ინფორმაციის გამოცხადების მოთხოვნა უნდა ემყარებოდეს გამართლებულ ეკონომიკურ, პატივსაღებ ინტერესს და უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ საჯარო წესრიგს. ეს კი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სააგენტოს მიერ შეფასების საგანია.



2. საიდუმლო ინფორმაციის სხვა სახეები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა სააგენტოში მიმდინარე სამართლებრივ წარმოებებში

2.1. პერსონალური მონაცემები

პერსონალური მონაცემები არის ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. პერსონალური მონაცემია აგრეთვე, პირის სახელი, გვარი, ფოტო, ვიდეო ჩანაწერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო ანგარიშის ნომერი, სოციალური ქსელის ანგარიში, პირადი მიმოწერა, ინფორმაცია პირის სამუშაო ადგილის, შემოსავლების, ოჯახური მდგომარეობის შესახებ და სხვა.

არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებიც. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომლებიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიული კავშირის წევრობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან. განსაკუთრებულ კატეგორიაში შედის, ასევე, ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს „ჩვეულებრივი“ მონაცემებისგან ის განასხვავებს, რომ კანონით მათი დაცვის განსაკუთრებით მაღალ სტანდარტია დაწესებული და წესების დარღვევის შემთხვევაში სანქციაც უფრო მკაცრია.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის/მოვაჭრის მიერ დამუშავებული პერსონალური ინფორმაცია (მაგალითად, ეკონომიკური აგენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც ასევე მითითებულია პერსონალური მონაცემები) ცნობილი ხდება სააგენტოსთვის. სააგენტო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოაქცემთა სუბიექტებისთვის მონაცემების გადაცემის პროცესში არჩევს ისეთ მეთოდს, რომლითაც საჭიროების შემთხვევაში, მონაცემთა გადაცემის ფაქტის, გადაცემული მონაცემების შინაარსისა და მონაცემთა დამუშავების პროცესთან მიმართებით სხვა მნიშვნელოვანი გარემოებების ობიექტურად იდენტიფიცირება გახდება შესაძლებელი.



პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, სააგენტო ხელმძღვანელობს მონაცემთა დამუშავების პრინციპებით:

- სამართლიანობა და კანონიერება - სააგენტოს მიერ პერსონალური მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, პიროვნების ღირსების შეულახავად;
- მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნის არსებობა - სააგენტო პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული, სააგენტოს უფლებამოსილებისადმი მინიჭებული საკითხების გადაწყვეტის მიზნით;
- პროპორციულობა და ადეკვატურობა - სააგენტოს მიერ პერსონალური მონაცემები მუშავდება იმ მინიმალური მოცულობით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნის მისაღწევად. თავად მონაცემებიც, ამ მიზნის შესაბამისია;
- ნამდვილობა და სიზუსტე - სააგენტოს მიერ დამუშავებული მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი, საჭიროების შემთხვევაში, ხდება მონაცემების განახლება, ასევე ხდება ინფორმაციის წყაროს სანდოობის გადამოწმება, სწორდება მცდარი და არაზუსტი მონაცემები;
- შენახვის ვადა - სააგენტოში პერსონალური მონაცემები ინახება კანონით განსაზღვრული ვადით ან იმ ვადით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.



2.2. საგადასახადო საიდუმლოება

საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლი განსაზღვრავს საგადასახადო საიდუმლოების ცნებას, რომელის თანახმად, **საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია**. კოდექსის 39-ე მუხლის 1¹ პუნქტი კი ჩამოთვლის გადასახადის გადამხდელის შესახებ იმ ინფორმაციას, რომელიც არ განეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას და საჯაროა. საგადასახადო საიდუმლოება არ არის ინფორმაცია: გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ; სტატუსი; სახელწოდება; სამართლებრივი ფორმა; მისამართი; საიდენტიფიკაციო ნომერი; საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თარიღი; მარეგისტრირებელი ორგანო; საგადასახადო დავალიანება; ხელმძღვანელობის/ წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირები; დამფუძნებლები; საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების და ქონების ყადაღის შესახებ; მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული სხვა საჯარო ინფორმაცია; მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაცია; პირისთვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების შეზღუდვის (მათ შორის, გამოწერის/გაცემის შეჩერების) შესახებ ინფორმაცია.

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, „საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას, მიუხედავად მისი მრავალფეროვნებისა, აქვს რამოდენიმე არსებითი, საერთო მახასიათებელი ნიშანი, რაც განაპირობებს მის მიმართ ერთიანი კონსტიტუციურსამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბების აუცილებლობას. საერთოა მთავარი სუბიექტი - გადასახადის გადამხდელი, რომელსაც შეეხება

“შეიძლება აღინიშნოს, რომ ზოგადი წესია გადამხდელთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაიდუმლოება, ხოლო კონკრეტული გამონაკლისები - ამ ინფორმაციის განსაიდუმლოების იმპლიციური შემთხვევები” - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის 2/3/406,408 გადაწყვეტილება.

ნებისმიერი გასაიდუმლოებული მონაცემი. საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას აერთიანებს ისიც, რომ ის საგადასახადო ორგანოებში თავს იყრის გადასახადების ადმინისტრირების პროცესის შედეგად. კოლეგიას, ასევე, უმნიშვნელოვანესად მიაჩნია, რომ საგადასახადო საიდუმლოებაში მოაზრებული ნებისმიერი ინფორმაცია დაკავშირებულია საგადასახადო ურთიერთობებთან და ასახავს მათ. გადასახადის გადამხდელზე არსებული ყველა მონაცემი იძლევა მისი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას²⁴. სასამართლომ ასევე გაიზიარა და დასაბუთებულად მიიჩნია მოსაზრება, რომ გადასახადის გადამხდელზე არსებული ინფორმაცია არის ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია და აქედან გამომდინარე, ფინანსებთან კავშირიც მნიშვნელოვანი საერთო ნიშანია²⁵.

სააგენტოს აქვს დაშვება საგადასახადო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან. კერძოდ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე საგადასახადო ორგანოსგან გამოითხოვოს და მიიღოს იდენტიფიცირებული ინფორმაცია ცალკეულ გადასახადის გადამხდელთა თაობაზე. ხოლო, თავის მხრივ, შემოსავლების სამსახური გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებულ ინფორმაციას აწვდის სააგენტოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

24 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის 2/3/406,408 გადაწყვეტილება, II თავი, პარაგრაფი 7, გადაწყვეტილების ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=390>



სააგენტო ვალდებულია ავტომატურ რეჟიმში დაიცვას საგადასახადო ორგანოსგან მიღებული საგადასახადო საიდუმლოება.

სააგენტო უფლებამოსილია საჯარო განადოს გადასახადის გადამხდელის შესახებ ის ინფორმაცია:

- რომელიც საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის 1¹ პუნქტის შესაბამისად არ მიეკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას;
- სააგენტოს აქვს გადასახადის გადამხდელის წერილობითი ან ელექტრონული ნებართვა, რომ მის შესახებ არსებული ინფორმაცია გადაეცეს სხვა პირს²⁶;
- გადასახადის გადამხდელის მიერ მოხდა ამ ინფორმაციის საჯაროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნება ან/და გავრცელება²⁷.

სააგენტოს პრაქტიკის მიხედვით, წარმოების პროცესში შესაძლოა მოპოვებულ იქნეს შემდეგი სახის საგადასახადო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია (არაამომწურავი, საილუსტრაციო ჩამონათვალი):

- ეკონომიკური აგენტების ბრუნვა;
- დეკლარაციები;
- ანგარიშ-ფაქტურები;
- სასაქონლო ზედნაღებები.

26 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 39.5

27 იქვე



2.3. პროფესიული საიდუმლოება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27³ მუხლის თანახმად, პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას.

როგორც ზემოხსენებული განმარტებიდან იკვეთება, პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება:

- სხვისი პერსონალური მონაცემები ან
- კომერციული საიდუმლოება, რომელიც პირისათვის (ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებული პირისათვის) ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული საიდუმლოება არის აღსარების საიდუმლოება, პარლამენტის წევრის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის, ექიმის, ჟურნალისტის, უფლებადამცველის, დამცველის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მათთვის განდობილი ინფორმაცია, აგრეთვე პროფესიული ფასეულობის მქონე ინფორმაცია, რომელიც პირისათვის ცნობილი გახდა კონფიდენციალურობის დაცვის პირობით, მის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და რომლის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის პროფესიულ რეპუტაციას. ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ არის პროფესიული საიდუმლოება.

როგორც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, პროფესიულ საიდუმლოებასთან დაკავშირებით, „ადგილი აქვს პერსონალური მონაცემებისა და კომერციული საიდუმლოების ერთგვარ ტრანსფორმირებას სამსახურებრივი საიდუმლოების რეჟიმში“²⁸.

კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია კონფიდენციალური ინფორმაციის გამხელა თვით მფლობელის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე. კანონის მე-12 მუხლის თანახმად, კი, პირი პასუხს აგებს მხოლოდ იმ საიდუმლოების გამხელისათვის, რომლის დაცვაც მას ევალება სამსახურებრივად ან სამოქალაქო გარიგებით და რომლის გამხელა აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს უქმნის კანონით დაცულ სიკეთებს. პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ საიდუმლოების გამხელა მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს. ამასთან, პირს შეუძლია მოითხოვოს ხსენებული კანონის მე-12 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით დაცული უფლებების ხელყოფით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

28 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის Nბს-33-32(კ-16) განჩინება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე. 2019, N11, 15



2.4. სახელმწიფო საიდუმლოება

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოება არის ქვეყნის თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროებში არსებული ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ ან დაკარგვამ შეიძლება ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს და რომელიც ამ კანონით ან/და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი წესით წინასწარ დასაიდუმლოებულია ან მიჩნეულია სახელმწიფო საიდუმლოებად და სახელმწიფოს მიერ დაცვას ექვემდებარება.

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოქმედება არ ვრცელდება კომერციული და საბანკო საიდუმლოებების, საიდუმლო საფინანსო, სამეცნიერო-ტექნოლოგიური, საგამომგონებლო და სხვა საიდუმლო ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, თუ ეს ინფორმაცია იმავე დროს სახელმწიფო საიდუმლოება არ არის.

ინფორმაცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო საიდუმლოებად კანონით ან კანონით დადგენილი წესით, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად.

2.5. საბანკო საიდუმლოება

კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საბანკო საიდუმლოებას შეიძლება წარმოადგენდეს პირის მიერ განხორციელებული გადახდის ოპერაცია, ანგარიში, ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაცია და ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაცია. ამავე მუხლის მიხედვით, აღნიშნული ინფორმაცია შესაბამის ორგანოს შეიძლება გადაეცეს კონკრეტული მიზნით კანონით პირდაპირ გათვალისწინებული წესით, მათ შორის სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე.

თავის მხრივ, კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად სააგენტო ვალდებულია დაიცვას ეკონომიკური აგენტის თაობაზე ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც, სხვა საიდუმლოებებთან ერთად, შეიძლება შეიცავდეს კომერციულ საიდუმლოებას, საბანკო საიდუმლოებას ან/და საგადასახადო საიდუმლოებას. კანონი, ასევე, მკაცრად ადგენს, რომ დაუშვებელია ამ კონფიდენციალური ინფორმაციის, მათ შორის საბანკო საიდუმლოების გაცემა და გავრცელება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისის შემთხვევებისა.

შესაბამისად, თუ სამართალწარმოების ფარგლებში სააგენტო ბანკისგან/ბაზრის მონაწილისგან/მოვაჭრისგან/მომხმარებლისგან მიიღებს საბანკო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას (ანგარიშების ამონაწერები; სესხებთან დაკავშირებულ ინფორმაცია; გადახდების მონაცემები; სხვა ფინანსურ დოკუმენტაცია.), სააგენტოს თანამშრომლებს უკისრებათ მისი კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულება და მისი გამჟღავნება მხოლოდ კანონით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებშია შესაძლებელი.



3. საიდუმლო ინფორმაციის და მხარეთა ინტერესების დაცვის მეთოდი სააგენტოში განხორციელებულ სამართლებრივი წარმოებების პროცესში

როგორც კონკურენციის, ისე მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით განხორციელებულ სამართლებრივ წარმოებაში მხარეებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით.

ერთი მხარის უფლება - გაეცნოს საქმის მასალებს, მოითხოვოს საქმის მასალების მისთვის გადაგზავნა, „უპირისპირდება“ მეორე მხარის უფლებას - დაცული იყოს მის მფლობელობაში და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სააგენტოსთვის წარდგენილი საიდუმლო ინფორმაცია. ამდენად, სააგენტოს მიერ საიდუმლო ინფორმაციის დაცვა, როდესაც უზრუნველყოფილი იქნება ორივე მხარის კანონით მინიჭებული უფლებები და გარანტირებული იქნება პროცედურული სამართლიანობა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

პროცედურული სამართლიანობის მისაღწევად აუცილებელია შესაბამისი მოქმედებების განხორციელება, როგორც სააგენტოს, ასევე, წარმოებაში მონაწილე პირების მხრიდან. კერძოდ, ეკონომიკურმა აგენტებმა/მოვაჭრებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისათვის სააგენტოს წინაშე შესაბამისი მოთხოვნის დაყენება.

თავის მხრივ, სააგენტო ადმინისტრაციული წარმოების მასალებს გასცემს შესაბამის უფლებამოსილ პირზე იმგვარად, რომ მათში მაქსიმალურად იყოს დაფარული საიდუმლო ინფორმაცია. სააგენტო, ასევე, დამტრიახული სახით უგზავნის მხარეებს გადაწყვეტილების პროექტს და საბოლოო გადაწყვეტილებას.

სააგენტო, ასევე უზრუნველყოფს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობის დაცვის პროცესში საიდუმლო ინფორმაციის დაცვასაც. კერძოდ, სააგენტოს მიერ საქმის წარმოების განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

გადაწყვეტილება, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით მისი მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად სამი სამუშაო დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ამ შემთხვევაშიც, ვებგვერდზე ქვეყნდება გადაწყვეტილება, სადაც დამტრიახულია საიდუმლო ინფორმაცია.

როდესაც მხარე სააგენტოში წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციის შემცველ დოკუმენტაციას, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, მან ასევე უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაციის მეორე არაკონფიდენციალური ვერსიაც, სადაც დამტრიახული იქნება საიდუმლო ინფორმაცია.

იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ წარმოდგენილ არაკონფიდენციალურ (დამტრიახულ) ვერსიას სააგენტო საკმარისად მიიჩნევს, სწორედ ეს უკანასკნელი ვერსია გაეგზავნება საქმის მასალის გაცნობით დაინტერესებულ მხარეს და აღარ მოხდება ამ დოკუმენტის სააგენტოს მიერ დამოუკიდებლად დამტრიახვა.



15 20



info@gcca.gov.ge



www.gcca.gov.ge



GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო



GCCA • Georgian Competition and Consumer Agency



0102. ქ თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი “მწვანე ოფისი”